#FR/115/9-180/13 ,,შავი ზღვის წყლის ხარისხის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და ზღვისპირეთის აბრაზიული პროცესებისაგან დაცვის კომპლექსური ღონისძიებების დამუშავება საქართველოს საზღვრებში.

რეზიუმე

კვლევის მიზანს წარმოადგენს: შავი ზღვისა და მისი სანაპირო ზოლის ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა ბუნებრივი და ანთროფოგენური ფაქტორებით გამოწვეული ნეგატიური პრობლემებისგან; დამსვენებლების, ტურისტებისა და შავიზღვისპირეთში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ზღვის წყლის ხარისხის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება.

შავი ზღვის ეკოსისტემის დასაცავად არსებობს შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის ბუქარესტის კონვენცია (1997 წ.), რომელიც საქართველოში რატიფიცირებულ იქნა 1999 წელს. ამ კონვენციის თანახმად, ბულგარეთის, საქართველოს, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, თურქეთისა და უკრაინის მთავრობები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებებს შავი ზღვის ეკოსისტემის რეაბილიტაციაზე და დაცვაზე თუმცა, ზოგიერთი სახელმწიფო ამ ვალდებულებებს არ ასრულებს, რის გამოც შავი ზღვის გარემოს მდგომარეობა შეშფოთების საგნად რჩება.

საგრანტო პროექტში დასმული ამოცანების გადაწყვეტის შედეგად წარმოდგენილ იქნა შესაბამისი შეფასებები და სათანადო რეკომენდაციები:

· კომპლექსურად შეფასდა შავი ზღვის წყლის ხარისხის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში;

· განისაზღვრა გოგირდწყალბადის სიღრმითი გავრცელების დონე შავ ზღავში;

· შეფასდა ზღვის წყალში დამაბინძურებელი ნივთიერებების სახეობები და დაბინძურების მიზეზები;

· განისაზღვრა დამაბინძურებელი ნივთიერებების რაოდენობრივი სიდიდეები, მათ ზღვრულ დასაშვებ ნორმებთან შედარების საფუძველზე;

· წარმოდგენილი იქნა დამაბინძურებელი ნივთიერების მონაცემთა ბაზისა და მონიტორინგის სისტემის შექმნის რეკომენდაციები ისეთი კრიტერიუმებით, რომ მხედველობაში იქნეს მიღებული ადამიანების ჯანმრთელობა და საფრთხის ქვეშ მყოფი ბუნებრივი გარემოს, ან სახეობების მნიშვნელობა;

ანაკლიის სანაპირო ზოლში საკურორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით, ზღვის შელფის გეომორფომეტრიული შესწავლილის საფუძველზე, შესწავლილი იქნა ზღვის ტალღური ზემოქმედება სანაპიროზე, აგრეთვე, მდ. ენგურის ჰიდროლოგიური რეჟიმი ზემოაღნიშნულ პრობლემებთან მიმართებაში;

გამოიცა სპეციალური ბიულეტინი, რომელშიც მოცემულია შავი ზღვის წყლის ხარისხის თანამედროვე მდგომარეობა და მისი დაცვის რეკომენდაციები.

მიღებული შედეგების გათვალისწინება და მათი პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს შავიზღვისპირეთი ეკოლოგიური უსაფრთხეობის დაცვას, მათ შორის, შავი ზღვის წყლის ხარისხისა და იქ არსებული საკურორტო ინფრასტრუქტურის შეუფერხებელ ფუნქციონირებას, საბოლოო ჯამში, ყველაფერი ეს პოზიტიურად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

პროექტის ირგვლივ გამოქვეყნებულია 2 სტატია, ერთი მოხსენებასაერთაშორისო კონფერენციაზე და გამოცემულია ბროშურა.